თბილისის "დინამო" ფინალშია

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კიევსა და ერევანში ტარდება ფეხბურთელთა საერთაშორისო ბლიცტურნირები. კიევში გაიმართა პირველი მატჩი, ითამაშეს სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა და ვარნის (ბულგარეთი) "სპარტაკმა" ოლიმპიელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ მათ მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლეს.

ერევანში გაიმართა 2 მატჩი. "არარატმა" წააგო (0:4) შეხვედრა "უნივერსიტატესთან" (რუმინეთი). თბილისის დინამოელებმა "ბიტომპოლონიასთან (პოლონეთი) მატჩის ძირითადი დრო ფრედ დაამთავრეს (2:2) შემდეგ დაინიშნა ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი. თბილისელებმა კიდევ 2 გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს 4:2.

თბილისელთაგან გოლები გაიტანეს: მაჩაიძემ (80–ე წუთი) ყიფიანმა (87–ე და 117–ე) და რეხვიაშვილმა (95–ე) პოლონელთაგან გოლების ავტორები არიან რედეცკი (44–ე) და როხნია (75–ე).

ფინალში "დინამო" შეხვდება "უნივერსიტატეს". ერევნელები მე–3 ადგილისათვის მატჩს გამართავენ "ბიტომ–პოლონიასთან". ფინალური შეხვედრა შედგება 22 სექტემბერს.

ლელო 21.09.1971 წ.